პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

15 ივნისი, ხუთშაბათი, 1989 წ.
№ 114 (10088) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# იაპონია ისწრაფვის საქართველოსთან საქმიანი ურთიერთობისაკენ

**მიუნხენის** ოლიმპიადაზე შოთა ჩოჩიშვილის ბრწყინვალე წარმატების შემდეგ ერთმა რუსმა პოეტმა გამარჯვებულს ექსპრომტად უძღვნა ლექსი, რომელიც ასე მთავრდებოდა: „ჩამოვლენ იაპონელები საქართველოში ძიუდოს შესასწავლად".

ეს „პროგნოზი", რომელიც მაშინ მხოლოდ თამამ პოეტურ ფანტაზიად თუ ჩაითვლებოდა, ახლა ახდა, ოღონდ იაპონელები საქართველოში ჩამოვიდნენ ქართული ჭიდაობის შესასწავლად, რომლის წიაღშიც ამდენი შესანიშნავი ძიუდოისტი აღიზარდა.

ამჟამად თბილისში იმყოფება იაპონიის პროფესიული ჭიდაობის ასოციაციის „პრორესლინგის" დელეგაცია — ჯგუფის ხელმძღვანელი და ორი მოჭიდავე. ისინი გააღრმავებენ იმ საქმიან კონტაქტებს, რომლებიც ბოლო ხანს სულ უფრო ინტენსიურად მყარდება საქართველოსა და იაპონიის სპორტულ წრეებს შორის.

გუშინ იაპონელ სტუმრებს ორი შეხვედრა მოუწყვეს — ჯერ ქალაქის საბჭოში და შემდეგ საქართველოს სპორტსახკომში.

— იაპონიაში ძალიან არიან დაინტერესებული ქართული ჭიდაობით, — აღნიშნა დელეგაციის ხელმძღვანელმა მასაცუგო კოგამ (მას კარგად იცნობენ ჩვენი ჭიდაობის გულშემატკივრები) ქალაქის საბჭოს თავმჯდომარესთან ირაკლი ანდრიაძესთან საუბარში, — და გვინდა სერიოზულად შევისწავლოთ იგი თქვენი სპეციალისტების დახმარებით. ჩვენ პროფესიული ჭიდაობის წარმომადგენლები ვართ, პროფესიონალმა მოჭიდავემ კი ყველანაირი ილეთი უნდა იცოდეს, მით უმეტეს თქვენი „ჭიდაობისა"...

ირაკლი ანდრიაძემ გაიხსენა ქართული ჭიდაობის უბადლო ოსტატი ვახტანგ ბალავაძე, რომელიც ძალიან სწრაფად გახდა მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში. „პირველად სწორედ თქვენთან, იაპონიაში, გაიმარჯვა" — დასძინა ლევან თედიაშვილმა.

— ჩვენ ადრეც ვიცნობდით თქვენს მოჭიდავეებს, — განაგრძო სტუმარმა — იაპონიაში კარგად ახსოვთ ანზორ კიკნაძე, ტურნირიც დავაწესეთ მისი სახელობის პრიზზე. ალბათ იცით, დიდი წარმატებით ჩაიარა ინოკისა და ჩოჩიშვილის შეხვედრამ ტოკიოში. ჩვენი ძიუდოისტებიც კმაყოფილი დარჩნენ: ძიუდოისტმა პროფესიონალ მოჭიდავეს სძლიაო. „აი, ძიუდოს ილეთი!" — აღტაცებულნი გაიძახოდნენ ისინი. სინამდვილეში ეს ძიუდოსი კი არა, ქართული ჭიდაობის ილეთი იყო. ასე არ არის შოთა? (ამ დროს შოთა ჩოჩიშვილიც იქ იყო).

— იაპონელებმა ბოლოს და ბოლოს გაიგეს, — ღიმილით თქვა მ. კოგამ, — საით უნდა წასულიყვნენ. ჩვენი ძიუდოისტები ახლა შეხვედრას შეხვედრაზე აგებენ. თბილისის საერთაშორისო ტურნირშიც უკვე შვიდი წელია პირველი ადგილი არ მოუპოვებიათ, ძალიან უჭირთ თენაძესთან, კურტანიძესთან თუ ტოტიკაშვილთან ჭიდაობა. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა ფუძიმ ქართული ჭიდაობის კომიტეტიც კი შექმნა... ხომ ხედავთ, პროფესიონალებიც როგორ აქტიურობენ. ახლაც სასწავლად ჩამოვედით, მთავარ კონსულტანტად „ჭიდაობაში" ბიძინა მაზიაშვილი გვყავს, შემდეგ მასაც და სხვებსაც — მაგალითად ლევან თედიაშვილს, — იაპონიაში მივიწვევთ სემინარების ჩასატარებლად. თუ რას ისწავლიან ჩვენი ბიჭები, ეს შემოდგომაზე გამოჩნდება — საქართველოს აბსოლუტურ პირველობაზე გვინდა ჩამოვიდეთ საჭიდაოდ.

გარდა ამისა, შოთასთან ერთად გვინდა თქვენი სხვა მოჭიდავეებიც მივიწვიოთ კეტჩისტთა შეხვედრებზე. არ ვიცით, შეხვდება თუ არა ინოკი ჩოჩიშვილს, იგი ახლა პარლამენტში ასარჩევად იბრძვის, მაგრამ ჯერჯერობით ინოკი და შოთა ერთობლივ ორთაბრძოლებს მოაწყობენ სხვა მოჭიდავეებთან. შოთა ახლა ჩვენთან ვარსკვლავად ითვლება, ის — მხოლოდ დიდ ტურნირებში, მხოლოდ ფინალებში გამოვა.

იმანაც დაგვაიმედა, რომ ვიცით, საქართველოს ახლა უკვე აქვს სა-



შეხვედრა ქალაქის აღმასკომში

ა. კოტორაშვილის ფოტო.

იხ. მე-3 გვ.

# და სხვა ხუთეული...

**უკვე** გაცნობეთ, რომ ძმები ზნამენსკების საერთაშორისო მემორიალში, სადაც მრავალი ქვეყნის მძლეოსნები ასპარეზობდნენ, წარმატებას მიაღწია სოხუმელმა ტარიელ ბიწაძემ (მწვრთნელი თამაზ ჭედია) და თბილისელმა ოლეგ სტრიჟაკოვმა (ვიტალი ქადეიშვილი); ტ. ბიწაძემ 19,78 მეტრზე ჰკრა ბირთვი და მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო სტრიჟაკოვმა 10-კილომეტრიანი დისტანცია 29.00,70 გაირბინა და მეორე მივიდა ფინიშთან ეთიოპიელ ბულბულა ჰაჯის შემდეგ.

თუმცა ჩვენი მძლეოსნების შედეგები შორსაა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივებისგან, ახალი კლასიფიკაციით, ასეთი დონის შეჯიბრებაში მეორე ადგილის დაკავებისთვის შეიძლება მძლეოსანს ეს წოდება მიენიჭოს. მოკლედ, დაველოდოთ საკავშირო სპორტსახკომის მძლეოსნობის სამმართველოს გადაწყვეტილებას.

ბიწაძისა და სტრიჟაკოვის გარდა ვოლგოგრადში გამოდიოდა ჩვენი სხვა ხუთი სპორტსმენი, ამასთან სამი — 110 მეტრზე თარჯრბენში. გელა ვეშაპიძემ XIV ადგილი დაიკავა — 13,90, იგორ ივანოვმა — XV (13,97), ვიაჩესლავ ვასილიევი XIX ადგილზე გავიდა — 14,44.

იოსებ შავერდაშვილი XIII ადგილზე აღმოჩნდა უროს ტყორცნაში — 71 მ, ხოლო სერგეი დევიატკინი ბადროს ტყორცნაში მე-16 ადგილს დასჯერდა — 52,10 მ.

ხვალ თბილისის „დინამოს" სტადიონზე დაიწყება საქართველოს ჩემპიონატი, სადაც ყველა ჩვენი საუკეთესო მძლეოსანი იასპარეზებს.

### საქართველოს ტელევიზიის პრიზის გათამაშება მძლეოსნობაში ● ნახევარფინალი

# იოლი გზით?..

**გადამწყვეტ** ეტაპს მიუახლოვდა საქართველოს ტელევიზიის პრიზის გათამაშება მძლეოსნობაში. დარჩა მხოლოდ ნახევარფინალური და ფინალური ასპარეზობები.

ჩანაფიქრით ამ შესანიშნავ შეჯიბრებას დაწყებისთანავე თან სდევდა მრავალი წინააღმდეგობა. მათგან ყველაზე უმთავრესი იყო ის, რომ ზოგიერთი რაიონის სპორტის მესვეურები სახელდახელოდ შეკრებილი ბავშვებით ცდილობდნენ ფონს იოლად გასვლას, ზოგი გუნდი კი საერთოდ არ ცხადდებოდა შეჯიბრებაზე. ესენი არიან: წყალტუბოს, თბილისის საქარხნო, ლენინის, კალინინისა და ორჯონიკიძის რაიონის, საჩხერის, გურჯაანის, მაიაკოვსკის, ლაგოდეხის, ხონის, თელავის, საგარეჯოს, გალის, გაგრის, ამბროლაურისა და ყაზბეგის რაიონების წარმომადგენლები. ზოგი იმას იმიზეზებდა, რომ ბავშვებს გამოცდები დაეწყოო, მაგრამ ეს საბუთად არ გამოდგება: დებულების მიხედვით გუნდები შეიძლება დაკომპლექტებულიყო 1975 წელს დაბადებული მძლეოსნებით, რომლებსაც წელს სკოლაში გამოცდები არ უტარდებათ.

გუნდების მოუმზადებლობა ყველასთვის იოლად დასანახი იყო და ბევრი მათგანის გამოსვლა თბილისის „დინამოს" სტადიონზე შეკრებილი ფეხბურთის მოყვარულთა ირონიულ ღიმილს იწვევდა.

დღეს თბილისის „დინამოს" სტადიონზე იასპარეზებენ: ფოთის, ქობულეთის, ბათუმის, გარდაბნის, რუსთავის, ქუთაისის ლენინის, გორის, ონის, აბაშის, ხობის, ჭიათურის, ლენინგორის, ცხინვალის, მარნეულის, თბილისის ოქტომბრისა და საბურთალოს რაიონის გუნდები, ხოლო მომდევნო შეხვედრაში, 19 ივნისს, პირველობისათვის იბრძოლებენ ოზურგეთის, ზუგდიდის, სამტრედიის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის, ახალციხის, ასპინძის, ახმეტის, ლანჩხუთის, გურჯაანის, ახალქალაქის, თბილისის 26 კომისრის, 1 მაისის, გლდანისა და კიროვის რაიონების წარმომადგენლები.

### ევროპის ჩემპიონატი
### კალათბურთში ქალთა შორის

# ძნელი სტარტი

**ვარნა.** ბულგარეთის ამ ქალაქში გრძელდება კალათბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატის წინასწარი შეხვედრები. პირველ ჯგუფში, სადაც საბჭოთა სპორტსმენები გამოდიან, იტალიის ნაკრებმა ჰოლანდიის გუნდი დაამარცხა 67:52 (37:21).

სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთა შეხვედრა უაღრესად მძაფრი ბრძოლით აღინიშნა, განსაკუთრებით მეორე ნახევარში და დამთავრდა ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებით 78:75 (54:39).

მეორე ჯგუფში იუგოსლავიელებმა დაამარცხეს უნგრეთის გუნდი 76:52 (41:22), ბულგარეთმა კი საფრანგეთის 90:54 (41:31).

### პასუხი „ლელოს" — ქმედითობა

# „დეპეშა წერილივით მოდის"

**მიმდინარე** წლის 27 მაისის გაზეთ „ლელოში" გამოქვეყნებულ რეპლიკაში „დეპეშა წერილივით მოდის", აღნიშნული იყო, რომ რედაქციის სახელზე ბათუმიდან გამოგზავნილი დეპეშა ადრესატს ჩაბარდა დაგვიანებით. გაცნობებთ, რომ დეპეშა განყოფილებაში შემოვიდა 20 მაისს, შაბათს. ვინაიდან შაბათ-კვირას უმრავლეს ორგანიზაციებში დატარება არ წარმოებს ტელეგრაფისტ ინასარიძის დაუდევრობით დეპეშა ჩაიდო კარტოთეკაში ორშაბათს 22-ში დასატარებლად. მან არ მიაქცია ყურადღება იმას, რომ რედაქციაში დეპეშების ჩაბარება წარმოებს ყოველდღიურად, რის შესახებაც ინფორმაცია გამოკრულია სამუშაო ადგილზე. ცვლის უფროსმა გრიგორიანმა არ შეამოწმა ტელეგრაფისტის მუშაობა, რამაც გამოიწვია აღნიშნული ფაქტი.

გაცნობებთ, რომ ტელეგრაფისტ ინასარიძეს და ცვლის უფროსს გრიგორიანს გამოეცხადათ საყვედური (ბრძ. №115 01.06.89 წ.).

მომხდარი ფაქტის გამო გიხდით ბოდიშს.

რ. კუკავა,
ფოსტამტის უფროსის მოადგილე.

### საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშების წინ







ზოგიერთ სახეობაში უკვე დაამთავრეს ასპარეზობა საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშების მონაწილეებმა, ზოგი კი მზადებას აგრძელებს. მათ შორის არიან ჩვენი წყალში მხტომელებიც, რომლებიც თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში უფროსი მწვრთნელის იური გუტიაკულოვის მეთაურობით მეცადინეობენ. მას ეხმარებიან თავისი კოლეგებიც, მათ შორის მეუღლე ლიუდმილა გუტიაკულოვაც.



# ქართული სპორტის საკეთილდღეოდ!

**დიდი სპორტის კარიბჭესთან**

ქართული სპორტის წარმატებებით სამართლიანად ამაყობს ჩვენი ხალხი. სპორტი დღეს ერის თავგამოჩენის, მისი საუკეთესო თვისებების, მსოფლიოს ხალხებისთვის გაცნობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებად იქცა. ამიტომაც არის ესოდენ საშური საქმე სპორტული მოძრაობის შემდგომი წინსვლა, საერთაშორისო შეჯიბრებებში კი ჩვენი რესპუბლიკის რაც შეიძლება მეტმა წარმომადგენელმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. ეს რომ ძალიან საჭირო და აუცილებელია, ვფიქრობთ, ამას განმარტება არ ესაჭიროება. რატომ ვამახვილებთ ახლა ამ თემაზე ყურადღებას? მხოლოდ დღევანდელი სიტუაცია არაფერ შუაშია. უკვე თითქმის ოთხწლიან ტრადიციასთან გვაქვს საქმე — ყოველ ზაფხულს მკითხველებს ვაცნობთ იმ ახალგაზრდა სპორტსმენთა სახელებს, ვინც თამამად ადგება უფროსი თაობის გაკვალულ გზა-ბილიკს, ვინც უკვე დღეიდანვე უნდა იტვირთოს ქართული სპორტის ტრადიციების გაღრმავება-განმტკიცების ძნელი საქმე. დიახ, ძნელი, ძალიან ძნელი საქმე, რადგან თანამედროვე სპორტი ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე საუკეთესო წლებში ახალგაზრდებისგან მოითხოვს ბევრ რამეზე უარის თქმას, მოითხოვს სპორტული რეჟიმისადმი მკაცრ დამორჩილებას. რა დასამალია, ახალგაზრდის თავისუფალი დროის უდიდესი ნაწილი ყოველდღიურ ჯოჯოხეთურ წვრთნას ეწირება. ეს ყველაფერი კარგად იცის ხალხმა და ამიტომაც ასეთი უსაზღვრო სიყვარულით უყვართ ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები.

მაშ ასე, დიდი სპორტის ფერხულში ებმება ახალი თაობა, თითქმის ყველა მათგანი ახლა ამთავრებს საშუალო სკოლას, მათ ცხოვრებაში იწყება ახალი გზა, რომელიც სწავლასა და სპორტთან იქნება შეხამებული. გასაკვირი არ არის, რომ სპორტსმენებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გაგებით ეკიდებიან. ცხადია, ეს ეხება სწავლასაც. საქართველოს სპორტსახკომმა გადაწყვიტა რეკომენდაცია გაუწიოს პერსპექტიულ ახალგაზრდა სპორტსმენებს, რომლებიც წელს აბარებენ მისაღებ გამოცდებს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში. ამით პრაქტიკული ნაბიჯი უნდა გადაიდგას სტუდენტთა სპორტის აღმავლობისაკენ. დასამალი არ არის, რომ ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებლებმა დათმეს ტრადიციები, სტუდენტთა სპორტი კი ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლია საერთოდ სპორტულ მოძრაობაში. ასეა მთელს მსოფლიოში. ისიც უნდა ითქვას, რა წინაალმდეგობებს ვაწყდებით, როცა ახალგაზრდა სპორტსმენს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის დრო მოუწევს. ახლაც, საკავშირო IV ახალგაზრდული თამაშების ფინალურ შეჯიბრებებში, ჯარში გაწვეული ჩვენი ზოგიერთი სპორტსმენი სხვა რესპუბლიკების გუნდებში იასპარეზებს. სტუდენტთა ჯარში გაწვევა, როგორც ცნობილია, წლევანდლიდან შეწყდა. ეს თავისთავად დიდი სტიმულია ჩვენს რესპუბლიკაში სტუდენტთა სპორტის შემდგომი წინსვლისათვის.

ახლა კი გაგაცნობთ ქართული სპორტის ახალი თაობის წარმომადგენლებს.

### აკრობატიკა

რამაზ ბუზიაშვილი, გია ხეთაგური, ზაზა ნინუა — სამივე საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი; ნანა პატარიძე, თინა ვარდიძე, თამილა გორბელაძე — სამივე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი.

### აკადემიური ნიჩბოსნობა

დავით მინდიაშვილი, ვალერი ნუცუბიძე — ორივე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი; პაატა სიხარულიძე, გიორგი კუხიანიძე — ორივე საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

### აფროსნობა

ნატო კუზანოვა — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი; იური მაკეევი — საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

### ბალახის ჰოკეი

აკაკი მაჩალაძე, თამაზ წიქარიშვილი, დავით ძოწენიძე, ხვიჩა ჯავახიძე, გია არველაძე — ყველა პირველი ლიგის გუნდის წევრი; ალუდა ფუტკარაძე, კახაბერ სვანიძე, ალექსანდრ პჩელნიკოვი, გიორგი კუდუხოვი, მამუკა კობახიძე — ყველა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი.

### ბადმინტონი

ზაზა ზურაბაშვილი — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის კანდიდატი.

### ზამთრის სპორტის სახეობები

ალექსანდრე ანთაძე — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი. კონსტანტინე ქადაგიძე, თამარ მიქელაძე, ელისაბედ ჩაჩხიანი — სამივე საკავშირო ახალგაზრდული თამაშების მონაწილე.

### თავისუფალი ჭიდაობა

ხვიჩა საბაშვილი, ნუგზარ სახვადაშვილი, ზვიად ლოლუა, ზაზა ზოზიროვი, ასლან ხმალაძე, დავით ხაბელაშვილი — ყველა სსრკ ნაკრები გუნდის კანდიდატი; კახა გაჩავა, ლაშა ლომიძე, მიხეილ ხურციძე, გიორგი ბერუაშვილი — ყველა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი; გოჩა მაკოევი — სსრკ ნაკრები გუნდის წევრი.

### კალათბურთი

რიტა ახათიანი, მიხეილ ნიკურაძე, ზაზა გვარამია, ლიდა მიქაძე — ყველა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი; ფატმან სამუშია — პირველი ლიგის გუნდის წევრი; ალკაზარ ბალათურია, არჩილ ხელაშვილი — ორივე სსრკ ჭაბუკთა ნაკრები გუნდის წევრი.

### კრივი

მათე კოლუაშვილი, გია გოლეთიანი, აკაკი კაკაურიძე, მიხეილ ჩადუნელი, სპარტაკ ჯაფარიძე, გურამ ბადაგაძე, მიხეილ კაპატაძე — ყველა სსრკ ჭაბუკთა ნაკრები გუნდის კანდიდატი.

### კლასიკური ჭიდაობა

ზურაბ გოგია, დავით წირქვაძე, გოჩა ციციშვილი, რევაზ კალანდაძე, მამუკა ლულუნიშვილი, ავთანდილ ჯინჭარაძე — ყველა სსრკ ჭაბუკთა ნაკრები გუნდის კანდიდატი; დამირ კირცხალია, ბესიკ ჩანჩიბაძე, დავით აფციაური — ყველა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდის კანდიდატი.

### კეტბურთი

ალექსანდრე იოსელიანი, კონსტანტინე სურგულაძე, ზაზა ბაზერაშვილი, ზვიად დათაშვილი, დავით წოწელია, დავით ხუციშვილი, კონსტანტინე ფერაძე, გიორგი დოლიძე, აკაკი ახობაძე, გიორგი ახათიანი, კობა ხრიკაძე, იური როინელი — ყველა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი.

### მაგიდის ჩოგბურთი

ზაზა აივაზოვი — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი.

### მძლეოსნობა

ლელა გელაშვილი, ამბროსი მათიაშვილი — ორივე სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები გუნდის კანდიდატი; შოთა ჯიბლაძე, ალექსანდრე ბოლქვაძე, დავით ჩუხრუკიძე, ხიმურ ქორთიევი, მადონა კაჩმაზოვა — ყველა საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

### მხატვრული ტანვარჯიში

თინათინ ნადირაშვილი — სსრკ ნაკრები გუნდის კანდიდატი.

### მშვილდოსნობა

გიორგი გოძიაშვილი — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი.

### ნიჩბოსნობა (ბაიდარა და კანოე)

თემურ მარტოლეკი — საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი. გიორგი კახიშვილი — საქართველოს ნაკრები გუნდის კანდიდატი;

### რაგბი

გიორგი გილაური, გიგა მამაგეიშვილი, ალექსანდრე ლიბრაძე — სამივე თბილისის „ელმავალის" მოთამაშე. დავით დვალი, ირაკლი ჩიქავა, ალექსანდრე ჩიხავა, ზვიად გელოვანი, ირაკლი კუხრაშვილი, კახაბერ გიუნაშვილი, გიორგი მინდაძე, ნიკოლოზ მეტრეველი, ემზარ გეგუჩაძე, ალექსანდრე ლიკლიკაძე — ყველა უმაღლესი ლიგის გუნდის წევრი; გიორგი ორჯონიკიძე — სსრკ ახალგაზრდული ნაკრები გუნდის კანდიდატი.

### სამბო

ნიკოლოზ გაგნიაშვილი — საქართველოს ნაკრები გუნდის კანდიდატი; კახაბერ ჟიჟიძე, მევლუდ მელაძე — სსრკ ახალგაზრდული ნაკრები გუნდის კანდიდატი.

### სასტენდო სროლა

დამანა სოხელია, გივი სოხელია, შალვა სირაძე — სამივე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი.

### სპორტული ტანვარჯიში

გია ხაჩიძე — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი.

### ტყვიის სროლა

არჩილ მეგრელიშვილი, გიორგი ნაცრიაშვილი — ორივე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი.

### ფრენბურთი

ნინო ოშკარელი, იზოლდა ცინცაძე — ორივე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი; ზურაბ გოჩიტაშვილი, მამუკა მელიქიძე, დავით ტომარაძე — ყველა პირველი ლიგის გუნდის წევრი.

### ფეხბურთი

ლევან მჭედლიშვილი, კლიმენტი ნინუა — ორივე სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის კანდიდატი; დიმიტრი ზეიკიძე, ალექსანდრე გელაძე, კახი კაჭარავა, გიორგი ნემსაძე, თემურ ყიფიანი, ვახტანგ ხვადაგიანი, ჯუმბერ გვაზავა — ყველა თბილისის „დინამოს" წევრი; შალვა ბურჯულაძე, იოველ კუხიანიძე — ორივე სსრ კავშირის ოლიმპიური რეზერვების სკოლებს შორის შეჯიბრებაში გამარჯვებული; კახაბერ კაკაბაძე, ნიკოლოზ სირაძე, გოდერძი ნატროშვილი — სამივე სსრკ ზონალური პირველობის გამარჯვებული; გიორგი დევდარიანი, ჯონი ტარუაშვილი — საქართველოს პირველობაში მონაწილე; ზურაბ ხორგუაშვილი — გორის „დილას" მოთამაშე.

### ფარიკაობა

გიორგი აბესაძე, ვახტანგ ურუშაძე, მურმან კოხრეიძე — სამივე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი.

### ძიუდო

ვლადიმერ დგებუაძე, ვალერი კიბორძალიძე, ირაკლი უზნაძე, რომან უძილაური, კახაბერ ბუზარაული, ზურაბ სამუკაშვილი, თემურ მჭედლიშვილი, მამუკა აბრამიშვილი, ბადრი დელიბაშვილი, მამუკა გაგუნაშვილი, ზურაბ ონიანი, შალვა ბექაური, თამაზ პაპკორია, რამაზ კირაკოზაშვილი, კახა ქურასბედიანი, არსენ აზალაძე — ყველა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები გუნდის კანდიდატი; ბაკურ ერაშვილი — საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდის კანდიდატი; მამუკა ოდიშელიძე — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი; პაატა შალამბერიძე, ვასილ ლობჟანიძე — ორივე საკავშირო ტურნირში გამარჯვებული.

### ცურვა

გიორგი ბახტაძე, ქეთევან ზინდრიშვილი — ორივე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი.

### ცხენოსნობა

ოთარ ჰითანავა, გიორგი გუჯაბიძე — ორივე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი.

### ხელბურთი

ბექარ ორჯონიკიძე, ვახტანგ ხუციშვილი, ირაკლი კეკელიძე, ალეკო ბოყოჩაძე, ზაზა ჭიაძე, ნაზიბროლა ბენიძე, მაკა კაკაბაძე — ყველა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის კანდიდატი, ნონა გალუსტაშვილი — სსრკ ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი.

### ჩოგბურთი

გივი გორდაძე, ირაკლი სვანიძე — ორივე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის კანდიდატი;

### წყალბურთი

რაულ ბუგიანაშვილი, ვასილ ჰეიშვილი, ზაზა პიტავა, გიორგი ბეჟანიშვილი, სერგო გოგიჩევი, გიორგი მახარაძე, ავთანდილ მალლაკელიძე, ლევან ნოზაძე, აკაკი სურგულაძე, გიორგი ლლონტი — ყველა სსრკ ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი; ნოდარ კარიჭაშვილი, გიორგი ლომიძე, გიორგი ილიავა, მიხეილ ხარებოვი, გიორგი კაპანაძე, რევაზ კაპანაძე, ვახტანგ ბუხნიკაშვილი — ყველა თბილისის „დინამოს" გუნდის წევრი.

### წყალში ხტომა

ეკატერინე ტაბატაძე—საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი.

### წყალსათხილამურო სპორტი

ხათუნა კორკელია — საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

### ჭადრაკი

ხოფიკო ტერელაძე — სსრკ ნაკრები გუნდის კანდიდატი გოგონებს შორის; აკაკი იაშვილი —საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი.

---

**საკავშირო შეჯიბრება აღმოსავლურ ორთაბრძოლებში**

# ასოციაციის სახელით

**აღმოსავლურ** ორთაბრძოლათა მიმდევარნი, ადრე თავისებური „ჩაკეტილი" კლუბები რომ შექმნეს, თანდათან გამოვიდნენ კულისებიდან და ახლა უკვე ოფიციალურად ატარებენ თავიანთ შეკრებებსა და შეჯიბრებებს. მათ ზურგს უმაგრებს ისიც, რომ ისინი ბოლოს და ბოლოს ოფიციალურად აღიარეს, მაგალითად, უკვე შეიქმნა აღმოსავლურ ორთაბრძოლათა საბჭოთა ასოციაცია (ამჟამად დღის წესრიგშია საქართველოს ასოციაციის შექმნა, რომლის შესახებ „ლელომ" უკვე გამოქვეყნა ცნობები).

პოდოლსკში (მოსკოვის ოლქი) აღმოსავლური ორთაბრძოლების საბჭოთა ასოციაციის ეგიდით ჩატარდა მსაჯთა სემინარი თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე, რის შემდეგაც გაიმართა შეჯიბრებაც, რომელიც საერთაშორისო, ე. წ. ვუკო-ს წესებით მიმდინარეობდა. მასში მრავალი გუნდის წევრებმა გამოთქვეს მონაწილეობის სურვილი, ესენი იყვნენ მოსკოვის, კიევის, ლვოვის, ჩრდილო ოსეთის და შუა აზიის რეგიონების (მაგ. ალმა-ათა, ყარაგანდა და სხვა) უკვე ძლიერი სკოლების წევრები. პოდოლსკში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სტილი: ვადო-რიუ, შოტო-კანი, კიოკუშინკაი, უშუ და სხვა.

ტურნირში სამი თბილისელი სპორტსმენი მონაწილეობდა და არც ერთი მათგანი არ დარჩენილა ჯილდოს გარეშე. 60 კგ წონაში უძლიერესი იყო თემურ ცქიტიშვილი, 80 და 85 კგ წონის ათლეტთა გაერთიანებულ ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა გია ბაკურაძემ, ხოლო ბესიკ ხუციშვილი (75 კგ) მესამე ადგილზე გავიდა. ჩვენს სპორტსმენებს ცალკე პრიზი — საპატიო თასი გადასცეს გუნდური მეორე ადგილისათვის.

სხვათა შორის, აღმოსავლურმა ორთაბრძოლებმა მყარად მოიკიდა ფეხი ბალტიისპირეთის რესპუბლიკებშიც, სადაც 70-მდე განყოფილებაა შექმნილი, თვით კარატისტთა ჩემპიონატებიც კი ტარდება სპორტკომიტეტისა და კომკავშირის დახმარებით, ესტონეთში სპეციალური ჟურნალის გამოცემასაც აპირებენ და ა. შ.

უკვე შეიქმნა პირობა, რომ ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებმა საერთაშორისო ტურნირებშიც სცადონ ძალა და უკვე ასპარეზობენ კიდეც. სწორედ ამას ემსახურება შეჯიბრება, რომელიც შემოდგომის დასაწყისში გაიმართება ალმა-ათაში. შეირჩევიან საუკეთესოები უნგრეთის საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად ევროპის კლუბების თასზე. გადაწყვეტილია, რომ ყაზახეთის დედაქალაქში საქართველოს სპორტსმენებმაც იასპარეზონ.



ორთაბრძოლა: მარცხნივ — თემურ ცქიტიშვილი.

# იაპონია ისწრაფვის საქართველოსთან საქმიანი ურთიერთობისაკენ

(დასასრული)

შუალება დამოუკიდებლად დაამყაროს კავშირი უცხოეთთან. ჩვენც ძალიან გვინდა გავწყვიტოთ ადრე დადებული კავშირი „სოვინტერსპორტთან“ და ასეთ უშუალო კონტაქტებზე გადავიდეთ.

**ი. ანდრიაძე:** იქნებ იცით, ჩვენთან ექსპერიმენტის სახით შეიქმნა საგარეო საქმეთა სამინისტრო. მოკლე ხანში უკვე მსოფლიოს ოთხ ქალაქთან დავამყარეთ ურთიერთობა და დავდეთ ხელშეკრულე-



ბები[illegible] უკვე გვაქვს მეგობრული ურთიერთობა იაპონიის ქალაქ ფუკუოკასთან.

— წარმოშობით მეც იქიდან ვარ, იაპონიის ამ სამხრეთის პრეფექტურიდან, — თქვა კოგამ, — იქ ფიცხი ხალხი ცხოვრობს, თქვენ გგვანან. ყველაზე უკეთესი სამურაები სწორედ იქიდან იყვნენ, მოუზომავი ხუმრობაც ყველაზე მეტად იქ არის სახიფათო.

**ი. ანდრიაძე:** შეგიძლიათ იქონიოთ ჩვენი, ქალაქის საბჭოს სრული მხარდაჭერის იმედი. ჩვენ მივესალმებით ყოველ ინიციატივას, რომელიც ხალხთა დაახლოებისა და დამეგობრების საშუალებას იძლევა. ასეთი კონტაქტები ჩვენთვისაც მეტად სასურველია. ჩვენს ურთიერთობას დიდი მნიშვნელობა ექნება ქართველი ჭიდაობის პროპაგანდისათვისაც.

შემდეგ ირაკლი ანდრიაძემ გაიხსენა საქართველოს ტელევიზიით გადმოცემული სიუჟეტი იმის შესახებ, რომ „პროგრესლინგის“ პრეზიდენტმა, სახელოვანმა მოჭიდავე ანტონიო ინოკიმ გადაწყვიტა საკუთარი ორგანიზაციის სახსრებით შეეძინა საჭირო მედიკამენტები 9 აპრილის ტრაგედიის დროს მოწამლულთა სამკურნალოდ (ამაზე კოგამაც ილაპარაკა) და დიდი მადლობა გადაუხადა სტუმრებს ასეთი მზრუნველობისათვის.

...საქართველოს სპორტსახკომში გამართული საუბარი ურთიერთობის პრაქტიკულ ნაბიჯებს და პერსპექტივებს ეხებოდა.

— ჩვენ თავდაპირველად „სოვინტერსპორტთან“ დავდეთ კონტრაქტი და ახლა ძალიან ვნანობთ ამას, — თქვა მ. კოგამ — ჩვენმა ურთიერთობამ არანორმალური სახე მიიღო და ალბათ მალე კონტრაქტს დავარღვევთ. ყველაფერი თავისთვის უნდათ და კაპიკს არავის აძლევენ. მგზავრობის, სპორტსმენთა კვების და სხვა თანხებს არავის უხდიან, იაპონიაში კი ხარჯებს მთლიანად ჩვენ ვფარავთ. ვისთანაც გინდა იმასთან ვითანამშრომლებთ, ოღონდ „სოვინტერსპორტთან“ — არავითარ შემთხვევაში.

**ნუგზარ ენდელაძე, საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარე:** ჩვენ ახლა დამოუკიდებლად შეგვიძლია დავამყაროთ კავშირი საზღვარგარეთის ქვეყნებთან. მაგრამ ჩვენი ურთიერთობა, სპორტული შეჯიბრებები მაინც საკავშირო სპორტსახკომის ეგიდით ტარდება და ფულის ნაწილიც მათ მიაქვთ. თქვენ შეგიძლიათ დაამყაროთ ჩვენთან პირდაპირი კავშირი „სოვინტერსპორტის“ გარეშე თუნდაც სამინისტროების დონეზე. ჭიდაობის გარდა ჩვენ სხვა სახეობებშიც გვყავს საერთაშორისო დონის სპორტსმენები.

**მ. კოგა:** თქვენს ხალხს კარგად ვიცნობ. აღარ მახსოვს, მგონი უკვე ოცჯერ ვიყავი საქართველოში. ლევან თედიაშვილთან ძმასავით ვარ. მოსკოვში მეკითხებიან, რატომ მაინცდამაინც ქართველებიო? იმიტომ, რომ ძლიერი მოჭიდავეები ჰყავთ-მეთქი — ვპასუხობ.

აპრილში „სოვინტერსპორტთან“ დადებული ხელშეკრულებით მოჭიდავეთა ჯგუფი გვეწვია. ყოველ შეხვედრაზე ვაჭრობდნენ, რამდენს მივიღებთო. ფული წინასწარ მოითხოვეს და მიიღეს კიდეც. ნახევარი წლისა ერთად, თან ორჯერ მეტი. შეხვედრების შემდეგ კიდევ მოითხოვეს, თორემ აღარ ჩამოვალთო. ერთი სიტყვით, მათთან კონტრაქტს დავარღვევთ. ჩვენი ურთიერთობა კი, დიდი იმედი მაქვს, უფრო გაღრმავდება. იაპონიაში მივიწვევთ თქვენს მოჭიდავეებს, ჩვენები თქვენთან ჩამოვლენ და ასე შემდეგ. ეს კონტაქტები ორმხრივ სასარგებლო იქნება...

სპორტსახკომში გამართული შეხვედრის შემდეგ ჩვენც ორიოდე კითხვით მივმართეთ მ. კოგას.

● **რა წამლების შეძენას აპირებს თქვენი ფედერაცია, საიდან მიიღეთ მათი სია?**

— ეს სია მოსკოვში გადმოგვცა საქართველოს წარმომადგენელმა, ინოკიმ კი სასწრაფოდ გაგზავნა იგი იაპონიაში.

● **იაპონიაში იქნებ იყოს ისეთი წამლები, რომლებიც უფრო ეფექტური იქნება ქიმიური ნივთიერებებით მოწამლულთა სამკურნალოდ? თქვენს მიღწევებს თუ გავითვალისწინებთ, ეს არ იქნება გასაკვირი.**

— მთავარია, რომ ჩვენ მივიღეთ წამლების სია ლათინურ ენაზე. და-



ნარჩენს კი ჩვენი სპეციალისტები — მედიკოსები მიხედავენ. ვცდილობთ, რომ ორი ჩვენი ექიმი აქ, თბილისში ჩამოვიყვანოთ. წამალს იმდენს შევიძენთ, რამდენის საშუალებაც ჩვენს ფედერაციას ექნება.

● **როგორც ჩანს, პროფესიონალი მოჭიდავეები უფრო აქტიურობენ ქართული ჭიდაობის შესასწავლად, ძიუდოისტები კი არ ჩამოხულან, მაგალითად, ფუძი. როგორ აპირებს იგი ქართული ჭიდაობის სწავლას?**

— ფუძის ძიუდოს ფედერაციის უსახსრობამ შეუშალა ხელი. ეს ფედერაცია მსოფლიოს უამრავ ტურნირზე გზავნის გუნდებს და ზედმეტი ფული არ გააჩნია. ფუძის აქვს ვიდეოფირები. იგი აქ შემოდგომაზეც ჩამოვა აბსოლუტურ პირველობაზე. თქვენი სპეციალისტების ჩასვლის იმედიც აქვს. იმედია, რომ ისინი მარტო პროფესიონალებს კი არა, სხვებს — ახალგაზრდებსა და ბავშვებსაც ასწავლიან „ჭიდაობას“. მოკლედ, იაპონიაში ძალზე სერიოზულად გადავწყვიტეთ „ჭიდაობის“ შესწავლა.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**

• • •

**გუშინ** თბილისის განათლების სამმართველოს სპორტსკოლის დარბაზში იაპონელებს კიდევ ერთხელ გააცნეს ქართული ჭიდაობის ილეთები. კონსულტანტი ბიძინა მაზიაშვილი იყო (სურათზე ზევით); ყველა ილეთი გულდასმით ფიქსირდება ვიდეოფირზე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

## I ლიგა

**13 ივნისს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XV ტურის შეხვედრები.

**„ტორპედო“ (ქუთაისი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:2 (1:0)**

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი.**

**„ტორპედო“:** ქორიძე, პაპავა, თორლაშვილი, ბზიკაძე, გ. თევზაძე, ნადირაძე, ბაკურაძე (ხარაბაძე), გაბისკირია, მარეხაშვილი, დარასელია, შავდათუაშვილი.

**„გურია“:** აბუხერიძე, ტყებუჩავა, ოლეფირენკო, დანელია (მესხი), კუზნეცოვი, ცომაია, ჟორდანია (კაბისაშვილი), დოზმოროვი, კორღალიძე, გურული, კაციტაძე (მ. თევზაძე).

**მსაჯი ვ. ფილიპოვი (მოსკოვი).**

**ამ** ტურის მეტოქეები ლიგის გათამაშების ბოლო პერიოდის აშკარა ფავორიტები არიან. გავიხსენოთ, რომ შეჯიბრების დაწყებიდან 2 ტურის შემდეგ „გურია“ მე-19 ადგილზე იმყოფებოდა, ხოლო ტორპედოელები მას ერთი ადგილით ჩამორჩებოდნენ, 4 ტურის შემდეგ გუნდები შესაბამისად მე-16 და 22-ე ადგილებზე იმყოფებოდნენ, 6 ტურის შემდეგ კი „გურიამაც“ და „ტორპედომაც“ წინ გადაინაცვლა, მაგრამ რესპუბლიკის ეს ორი გუნდი მაინც ჩამორჩენილთა შორის იმყოფებოდა.

ყველაფერი ეს გაზაფხულზე იყო, შემდეგ კი ლანჩხუთელი და ქუთაისელი ფეხბურთელები გამარჯვებათა ძნელ, მაგრამ საპატიო ალმართს შეუყვნენ და 13 ივნისისთვის ორივენი ლიგის მოწინავეთა შორის აღმოჩნდნენ, თანაც, თუ დაკარგული ქულების რაოდენობით ვიმსჯელებთ, რაც მეტად მნიშვნელოვანია ფეხბურთში, „გურიასაც“ და „ტორპედოსაც“ ქულათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ დაკარგული: ლანჩხუთელებს მინუს 8, ხოლო ქუთაისელებს — მინუს 10. ყველაფერი ეს დიდად საინტერესოს ხდიდა XV ტურის ამ მატჩს, ჩვენც შესაძლებლობა მოგვეცა შეგვედარებინა ამ გუნდების პოტენციური შესაძლებლობანი. რა თქმა უნდა, ამ დღეს იყო თავისებური ალტერნატიული გამოსავალიც — თამაშის ფრედ დამთავრების შემთხვევაში ორივე გუნდი ინარჩუნებდა „სტატუს-ქვოს“, მაგრამ, საბედნიეროდ, მეტოქეები ამ კომპრომისზე არ წავიდნენ, პატიოსანი, ნაღდი ბრძოლა ამჯობინეს და სტადიონზე დამსწრე მრავალათასიან აუდიტორიას ნამდვილად დაძაბული, მწვავე სიტუაციებით აღსავსე, კარგი ფეხბურთი აჩვენეს, რისთვისაც ორივე მხარეს — გამარჯვებულებსაც და დამარცხებულებსაც — მადლობის მეტი არაფერი ეთქმის. თავისი სპორტული დაძაბულობით, საშემსრულებლო ოსტატობით და დინამიკით თამაში უმაღლესი ლიგის გუნდების მატჩსაც არ ჩამორჩებოდა.

მოხდა ისე, რომ შეხვედრა ორ თავისებურ, დიამეტრალურად საწინააღმდეგო ნახევრად გაიყო: პირველი ტაიმი მთლიანად ქუთაისელებმა დაისაკუთრეს. შესვენების შემდეგ კი მდგომარეობის ბატონ-პატრონნი ლანჩხუთელები გახდნენ.

მაგრამ მივყვეთ მატჩის მსვლელობას:

პირველი ათიოდე წუთის განმავლობაში ბურთი მინდვრის შუაგულში ტრიალებდა, ორივე გუნდის მეკარეები ნაკლებად ერთვოდნენ თამაშში, მაგრამ მდგომარეობა თანდათან, მეთოდურად დაიძაბა, ტორპედოელებმა სრულ უპირატესობას მიაღწიეს და ტაიმის დასასრულამდე მასპინძლები მოიერიშეთა როლში იმყოფებოდნენ, ხოლო სტუმრები — მომგერიებლისა. მართალია, მესხის მინდორზე გამოსვლის შემდეგ ლანჩხუთელებმა შვებით ამოისუნთქეს, მაგრამ ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა მაინც აშკარად ტორპედოელთა მხარეს იყო, მათი მოიერიშე რგოლები სულ უფრო და უფრო ხშირად ავიწროებდნენ მეტოქე მცველთა რიგებს. მასპინძელთა შორის განსაკუთრებული აქტიურობით და მაღალტექნიკური თამაშით გამოირჩეოდა გ. დარასელია, რომლის მახვილგონივრული, ტაქტიკურად გააზრებული მანევრები ხშირ შემთხვევაში ჩიხში აყენებდა მეტოქის დაცვას. დარასელიას თამაშს თვალს ადევნებდნენ გამოცდილი სპეციალისტები, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. ჩხატარაშვილი და საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი გ. ბაქანიძე, რომლებიც შეუცდომლად დაგვიდასტურებენ ჩვენი სიტყვების სიზუსტეს.

სწორედ დარასელიამ გადაწოდა 23-ე წუთზე ზუსტად გამოზომილი ბურთი შავდათუაშვილს, ამ უკანასკნელმაც ასეთივე ოსტატობით შეასრულა კარის აღების საქმე — 1:0. ტაიმის დამთავრებამდე ტორპედოელები კვლავ და კვლავ უტევდნენ...

მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და მდგომარეობაც მკვეთრად, საპირისპიროდ შეიცვალა. ლანჩხუთელი ფეხბურთელები სრული ძალითა და ენერგიით ამოქმედდნენ და თამაშის მთელმა სიმძიმემ მასპინძელთა ნახევარზე გადაინაცვლა. „გურიის“ თამაშის ამ მომძლავრებაში მთავარი როლი შეასრულა მ. მესხმა. მან ამ დღეს შესანიშნავად ითამაშა და საპასუხო ბურთიც გაიტანა 72-ე წუთზე, როცა ელვისებური დრიბლინგით გაარღვია მეტოქეთა დაცვის რიგები და ანგარიში გაათანაბრა. მესხს კარგად აუბეს მხარი გურულმა, კორღალიძემ, კუზნეცოვმა, დოზმოროვმა და საბოლოოდ „გურიამ“ ჯერ სრული გარდატეხა შეიტანა თამაშში, შემდეგ კი, 84-ე წუთზე, გადამწყვეტი გოლიც გაიტანა, როცა ტორპედოელთა მცველებმა ტაქტიკური შეცდომა დაუშვეს და საშუალება მისცეს ღიად დარჩენილ ჟორდანიას მეორე ბურთი გაეტანა.

ვიმეორებთ, მატჩი იყო მეტად საინტერესო, შინაარსიანი, დაძაბული. „გურიამ“ რომ გაიმარჯვა, გასაკვირი ამაში არაფერია, ბინადან გუნდი მაღალი კლასის ფეხბურთელებით, აქ თვით სსრ კავშირის ჩემპიონებიც კი გამოდიან და კოლექტივს სრული უფლება აქვს უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაზე იზრუნოს: ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა ეს ამოცანა მტკიცე დევიზად უნდა დაისახონ და იბრძოლონ მისი განხორციელებისთვის.

რაც შეეხება ქუთაისის „ტორპედოს“, ეჭვი არაა, რომ ეს ახალგაზრდული, ენერგიით აღსავსე კოლექტივი ფრიად პერსპექტიულია, ბოლოდროინდელი წარმატებები საფუძვლიანად ემყარება მის საერთო პოტენციურ შესაძლებლობებს და გუნდის ხელმძღვანელობის მიერ ზღებულ სწორ გზას.

**ზ. ძორძაძე,**
**„ლელოს“ სპეც. კორ.**

• • •

განვლილ ტურში წარმატებით ითამაშეს ბათუმის დინამოელებმაც, რომლებმაც კრასნოდარში ფრედ დაამთავრეს თამაში „ყუბანთან“ — 0:0.

• • •

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 2:2, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 2:0, ასკ (დონის როსტოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 3:3, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 0:1, „ნეფთჩი“ (ბაქო) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 1:1, „დაუგავა“ (რიგა) — ცსკა 1:4, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 0:2, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:0, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 1:1.

მომდევნო ტურში, 16 ივნისს, ლანჩხუთის „გურიას“ ძნელი მატჩი აქვს აბოვიანში „კოტაიკთან“, ქუთაისის ტორპედოელები კი შინ ღებულობენ ძლიერ მეტოქეს — სტავროპოლის „დინამოს“. ბათუმის დინამოელები XVI ტურში ისვენებენ.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 15 ივნისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 14 | 10 | 2 | 2 | 38-10 | 22 |
| „კაირატი“ | 15 | 8 | 4 | 3 | 27-14 | 20 |
| „ფახთაქორი“ | 15 | 7 | 5 | 3 | 21-8 | 19 |
| „დინამო“ სტ. | 14 | 5 | 9 | 0 | 17-10 | 19 |
| „გურია“ | 13 | 7 | 4 | 2 | 21-10 | 18 |
| „ნისტრუ“ | 15 | 8 | 1 | 6 | 15-16 | 17 |
| „მეტალურგი“ | 14 | 7 | 2 | 5 | 20-13 | 16 |
| „დინამო“ ბ. | 15 | 6 | 4 | 5 | 13-21 | 16 |
| „ნეფთჩი“ | 14 | 5 | 6 | 3 | 16-14 | 16 |
| „ყუბანი“ | 15 | 6 | 3 | 6 | 17-26 | 15 |
| „ფაკელი“ | 14 | 5 | 5 | 4 | 12-9 | 15 |
| „ტორპედო“ | 13 | 6 | 2 | 5 | 21-20 | 14 |
| „კოტაიკი“ | 14 | 5 | 4 | 5 | 16-10 | 14 |
| „სპარტაკი“ | 14 | 5 | 4 | 5 | 17-17 | 14 |
| „როსტსელმ.“ | 14 | 4 | 6 | 4 | 14-14 | 14 |
| „შინიკი“ | 14 | 4 | 5 | 5 | 17-25 | 13 |
| „ტავრია“ | 14 | 4 | 4 | 6 | 19-26 | 12 |
| „გეოლოგი“ | 13 | 5 | 1 | 7 | 13-17 | 11 |
| „კუზბასი“ | 14 | 2 | 6 | 6 | 6-12 | 10 |
| ასკ რ. | 14 | 3 | 2 | 9 | 21-28 | 8 |
| ასკ „კარპატი“ | 15 | 0 | 5 | 10 | 12-29 | 5 |
| „დაუგავა“ | 15 | 0 | 4 | 11 | 7-31 | 4 |

**სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში**

## დუბლიორთა მატჩი

**გუშინ** შედგა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XIV ტურის შეხვედრა თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შორის.

თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით, ანგარიშით 2:1. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს ფანცულაიამ და ნეფარიძემ.

თბილისის „დინამოს“ შემადგენლობა: ხაპოვი, გუჯაბიძე, გელაძე, ჩიქოვანი (მაჭავარიანი), არზიანი, (თ. ყიფიანი), ყიზილაშვილი, არველაძე (ხვადაგიანი), ჯამარაული, კერძევაძე, ფანცულაია (აფციაური), ნეფარიძე.

**გუშინ** დაიწყო სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის XIV ტურის მატჩები. მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და ხარკოვის „მეტალისტი“.

თამაში დამთავრდა ხარკოველთა გამარჯვებით — 1:0.

## სტუდენტური ფეხბურთის რჩეული

**საქართველოს** ექვსი უმაღლესი სასწავლებლის გუნდი ჩაება მინიფეხბურთელთა რესპუბლიკური პირველობის ფინალურ ასპარეზობაში. თბილისში „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში თავი მოიყარეს ზონალურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებმა. ესენი არიან თბილისის სამედიცინო და ზოოვეტერინარული, თელავის პედაგოგიური, სოხუმის სუბტროპიკული, გორის ეკონომიკური და ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტების გუნდები.

გუშინ გაიმართა პირველი ორი შეხვედრა. სუბტროპიკული ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მოუგეს თელაველ სტუდენტებს 4:3, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ფეხბურთელებმა დიდი ანგარიშით 8:1 დაამარცხეს ქუთაისელი პოლიტექნიკოსები.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **შვედ** ფეხბურთელთა კოლონია შვეიცარიაში შესამჩნევად იზრდება. „ქსამაქსში“ ითამაშებს პეტერ ლონი („ნორჩეპინგი“), „ლუცერნში“ — დან კორნელიუსონი („კომო“, იტალია), ხოლო ბერნის „იანგ ბოისის“ წევრებს ნილსონსა და ლიმპარს დაემატება როჯერ ლიუნგი („მალმიო“). კიდევ ორი უცხოეთში მოთამაშე შვედი შეიცვლის კლუბს. 23 წლის დენის შილერი („ლილესტრიომი“, ნორვეგია) ინგლისში გადავა, სადაც მას „ევერტონი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ ეპატიჟება. ნაკრების კაპიტანი გლენ ჰისენი („ფიორენტინა“, იტალია) კი მწვრთნელ სვენ ერიქსონს გაჰყვა პორტუგალიის „ბენფიკაში“.

● **შოტლანდიის** ნაკრების უძლიერესი თავდამსხმელი მორის ჯონსტონი აღარ განაახლებს კონტრაქტს საფრანგეთის „ნანტთან“ და გლაზგოს „სელტიკში“ დაბრუნდება.

# სამბო გუშინ და დღეს

## ჩემპიონატის ექო

**ჩვენმა** მკითხველებმა უკვე იციან, რომ ალმა-ათაში დამთავრდა სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატი. ვიდრე ამ შეჯიბრების შედეგებს განვიხილავთ, ერთი ინფორმაცია უნდა მოგაწოდოთ: თბილისელმა ჯემალ მჭედლიშვილმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი პირველად კი არ მოიპოვა, როგორც ამას საქდესის კორესპონდენტი იუწყებოდა, არამედ მეორედ.

მჭედლიშვილზე დავიწყეთ საუბარი და ისიც უნდა ვთქვათ, რომ შარშან, ჩვენს ათლეტს (ჩემპიონატი ომსკში ჩატარდა) მხოლოდ ბრინჯაოს ჯილდო ჰქონდა. ეს გახლდათ წინა ჩემპიონატში ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეთა მიერ მოპოვებული ერთადერთი საპრიზო ადგილი. წლეულს კი, მჭედლიშვილი, მოგეხსენებათ, ჩემპიონი გახდა, მ. წინამძღვრიშვილმა კი 90 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს ჯილდო დაისაკუთრა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ შარშანდელ ჩემპიონატთაგან უმაღლესი ტიტული მხოლოდ სამმა სამბისტმა შეინარჩუნა. ესენი არიან ლენინაკანელი გ. ტუტხალიანი (52 კგ), კიროვაკანელი გ. ღაზარიანი (62 კგ) და მოსკოველი ვ. შკალოვი (მძიმე წონა).

ვნახოთ როგორ განაწილდა საპრიზო ადგილები მოკავშირე რესპუბლიკების სპორტსმენთა შორის. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ამ მონაცემების საფუძველზე გამოყვანილია გუნდური შედეგები.

| | | | |
|---|---|---|---|
| რუსეთის ფედერაცია | 1 | 4 | 12 |
| მოსკოვი | 2 | 2 | — |
| ყაზახეთი | 2 | — | 2 |
| სომხეთი | 2 | — | 1 |
| ბელორუსია | 1 | 2 | — |
| საქართველო | 1 | — | 1 |
| უზბეკეთი | 1 | — | 1 |
| ყირგიზეთი | — | 1 | — |
| ლენინგრადი | — | 1 | — |
| აზერბაიჯანი | — | — | 1 |
| ლიტვა | — | — | 1 |
| უკრაინა | — | — | 1 |

საბოლოოდ ჩემპიონატში გუნდური ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. რუსეთის ფედერაცია — 369 ქულა, 2. მოსკოვი — 117, 3. ყაზახეთი — 105, 4. ბელორუსია — 96, 5. სომხეთი — 78, 6-7. საქართველო და უზბეკეთი — 48 ქულა თითოეულს.



სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს შორის პირველი სამი ადგილი გაინაწილეს: პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებამ — 432 ქულა, შეიარაღებულმა ძალებმა — 414 და „დინამომ" — 144.

სპეციალისტების აზრით სამბოში მოწინავე პოზიციებს ჯერ-ჯერობით გამოცდილი ოსტატები ინარჩუნებენ. ესენი პირველ რიგში არიან ვ. შკალოვი (მოსკოვი), ჯ. მჭედლიშვილი (თბილისი), გ. ტუტხალიანი (ლენინაკანი), გ. ღაზარიანი (კიროვაკანი) და სხვები, თუმცა ახალგაზრდებმაც საკმაო ბრძოლისუნარიანობა და მიზანსწრაფვა გამოავლინეს. ერთ-ერთი მათგანი ს. ვოლობუევი კი (ყაზახეთი) ჩემპიონატის ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ აღიარეს.

პირად პირველობაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

**48 კგ.** 1. ა. შაიხიევი (ყაზახეთი), 2. ნ. ციპანდინი (ბელორუსია), 3. დ. მამედოვი (აზერბაიჯანი) და გ. გევორქიანი (რსფსრ).

**52 კგ.** 1. გ. ტუტხალიანი (სომხეთი), 2. ვ. ტიხონოვი (ყირგიზეთი), 3. ა. მუსაბეკოვი და ა. ტემირბულატოვი (ორივე — ყაზახეთი).

**57 კგ.** 1. რ. მაშარიპოვი (უზბეკეთი), 2. ა. არხიპოვი (რსფსრ), 3. ო. მანუკიანი (სომხეთი) და ი. გაბდულხაკოვი (რსფსრ).

**62 კგ.** 1. გ. ღაზარიანი (სომხეთი), 2. კ. მამედოვი (მოსკოვი), 3. ა. აქაიონოვი და ი. ალექსეევი (ორივე — რსფსრ).

**68 კგ.** 1. ვ. იაპრინცევი (ბელორუსია), 2. ო. დოლგიშევი (რსფსრ), 3. ვ. ბელოვი და ე. ესინი (ორივე — რსფსრ).

**74 კგ.** 1. ს. ვოლობუევი (ყაზახეთი), 2. ვ. შვაია (რსფსრ), 3. ე. ხალიკოვი (უზბეკეთი) და ნ. იგრუშკინი (რსფსრ).

**82 კგ.** 1. ჯ. მჭედლიშვილი (საქართველო), 2. ხ. ხაიბულაევი, 3. ვ. ელისტრატოვი და ა. ზადუბროვი (ყველა — რსფსრ).

**90 კგ.** 1. ი. სიდორკევიჩი (მოსკოვი), 2. ტ. აბდულაევი (ლენინგრადი), 3. ს. კამიშევი (რსფსრ) და მ. წინამძღვრიშვილი (საქართველო).

**100 კგ.** 1. მ. დიკევი (რსფსრ), 2. ი. სმირნოვი (მოსკოვი), 3. რ. როციავიჩუსი (ლიტვა) და მ. ოზოვი (რსფსრ).

**მძიმე.** 1. ვ. შკალოვი (მოსკოვი), 2. ვ. ემელიანოვი (ბელორუსია), 3. ვ. სერდიუკოვი (უკრაინა) და ს. ბელინსკი (რსფსრ).

# ორმოცდამეხუთე, საქალაქო...

**170 პირველი თანრიგის, 380-მეორე და 800-ზე მეტი ჭაბუკთა და მესამე თანრიგის შედეგი იყო ნაჩვენები სპორტის 20 სახეობაში თბილისის მოსწავლეთა 45-ე საქალაქო სპარტაკიადაზე. მის ფინალურ ასპარეზობებს წინ უძღოდა შიგასასკოლო და სარაიონო სპარტაკიადები, რომელშიც 70.000-მდე მოსწავლე მონაწილეობდა.**

სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: მოცურავეები ნ. ზოსიმოვა (ოქტომბრის რ-ნი) და ე. რატიანიძე (I მაისის რ-ნი), მოფარიკავეები ხ. ჭუმბურიძე (კალინინის რ-ნი) და დ. მეძმარიაშვილი (ორჯონიკიძის რ-ნი), მოჭადრაკეები ა. ლაზარაშვილი (ოქტომბრის რ-ნი) და დ. ხოსრუაშვილი (საბურთალოს რ-ნი), მძლეოსნები ლ. ხარაცმიდი (ლენინის რ-ნი) და ტ. პიკალოვა (26 კომისრის რ-ნი), სამბისტები ვ. ჩანადირი (I მაისის რ-ნი) და დ. ჯიქიძე (კიროვის რ-ნი), ტანმოვარჯიშეები ნ. ნადიბაიძე (გლდანის რ-ნი) და ლ. მაისურაძე (ლენინის რ-ნი) და სხვ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა 26 კომისრის რ-ნის ნაკრები (152 ქულა), მეორე იყო ლენინის სახელობის რ-ნის (130 ქულა), ხოლო მესამე (114,5 ქულით) — გასული წლის სპარტაკიადის ჩემპიონი ოქტომბრის რ-ნის მოსწავლეთა ნაკრები. მომდევნო ადგილებზე არიან კალინინის (105, 5 ქულა), საბურთალოს (101 ქულა), კიროვის (100 ქულა), გლდანის (94 ქულა), I მაისის (83 ქულა), საქარხნო რ-ნისა (83 ქულა) და ორჯონიკიძის სახ. რაიონის გუნდები.

**კარლო ჩხაიძე,**
**თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების გამგე.**

# ყველა ჩოგბურთელის სანუკვარი ოცნება

**ინგლისური** სპორტული ჟურნალის „ფილდის" გამომცემელმა უელშმა 1877 წელს უიმბლდონში მოაწყო ჩოგბურთის ტურნირი, რომლის პირველ გათამაშებაში მონაწილეობდა მხოლოდ 22 სპორტსმენი, შეჯიბრებას კი ესწრებოდა 220 მაყურებელი.

მას შემდეგ საუკუნეზე მეტი გავიდა. დღეს, უიმბლდონის მარტო ერთეულთა თანრიგში 128 ვაჟი და 96 ქალი მონაწილეობს, მაყურებელთა რიცხვი კი 30 ათასს აღემატება.

თავდაპირველად ამ ტურნირში ინგლისელები დომინირებდნენ. მათ 1877 წლიდან 1890 წლამდე პირველობა არავისთვის დაუთმიათ. ყველაზე მეტად გამოიჩინა თავი. იმ დროის ცნობილმა ჩოგბურთელმა უ. რენშოუმ, რომელმაც 14 წლის განმავლობაში 8-ჯერ შეძლო ტურნირის მოგება.

პირველი უცხოელი, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა უიმბლდონში გახლდათ ამერიკელი უ. ბადელი (1Ꮛ91 წელს).

უნდა აღინიშნოს, რომ უ. რენშოუს რეკორდი დღემდე ხელშეუხებელია. მხოლოდ ხუთ-ხუთჯერ შეძლეს უიმბლდონის ტურნირის მოგება ინგლისელმა ხ. დოჰერტიმ (1902-1906) და შვედმა ბიორნ ბორგმა (1976-80).

საერთოდ კი დაწყებული პირველი გათამაშებიდან ინგლისელები ამ პრესტიჟულ თასს 31-ჯერ ფლობდნენ, ამერიკელები 28-ჯერ, ავსტრალიელები 20-ჯერ, ფრანგები 7-ჯერ, შვედები 6-ჯერ, ახალი ზელანდიელები 4-ჯერ, დასავლეთ გერმანელები 2-ჯერ. თითოჯერ მიაღწიეს წარმატებას ესპანელებმა და ჩეხოსლოვაკიელებმა.

წელს ამ უაღრესად პრესტიჟული ტურნირის 101-ე გათამაშებაა. რომელიც, ცხადია, ისევე საინტერესოდ და მიმზიდველად ჩაივლის, როგორც წინა ასი.

**ალექსანდრე ჯიბლაძე.**

# მიტინგი ოლიმპოს მწვერვალზე

**ათენი.** საბერძნეთის ჟურნალმა „ბუნება და ეკოლოგიამ" გარემოს დაცვისთვის მებრძოლ ალპინისტთა საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად ოლიმპოს ლეგენდარულ მთაზე დიდი მიტინგი მოაწყო. ქვეყნის ყველაზე მაღალი მთის მწვერვალზე ავიდნენ საბერძნეთის, იტალიისა და საფრანგეთის მთამსვლელები.

მიტინგი ჩატარდა 2100 მეტრის სიმაღლეზე, ალპინისტთა უკანასკნელი თავშესაფრის გვერდით. მანიფესტაციის მონაწილეებმა თან ამოიტანეს პლაკატები, ლოზუნგები, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვდნენ ბუნების ამ უნიკალური კუთხის დაცვას. ამ აქციას კონკრეტული, შორს გამიზნული მიზანი ჰქონდა.

საქმე ისაა, რომ ბიზნესმენთა ერთ ჯგუფს დიდი ხანია გადაწყვეტილი აქვს ოლიმპო ზამთრის ტურიზმის საერთაშორისო ცენტრად აქციოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მის ფერდობებზე უნდა გაშენდეს სასტუმროები, საბაგირო გზები და ფუნიკულიორები, კაფეები, რესტორნები, გასართობი დაწესებულებები... ერთი სიტყვით, ოლიმპო ევროპის ტურისტული ინდუსტრიის თავისებურ დისნეილენდად უნდა გადაიქცეს. და მაშინ, საბოლოოდ განადგურდება ეს უნიკალური კუთხე.

ცნობილმა იტალიელმა ალპინისტმა და მწერალმა რეინჰოლდ მესნერმა მიტინგზე განაცხადა:

— 40 წელია რაც მთაში დავდივარ და ამიტომ კატეგორიულად ვაცხადებ, ველური, პირველყოფილი ბუნება აკეთილშობილებს ადამიანს, ხელს უწყობს მის სულიერ სისპეტაკეს. ბუნება ჩვენ შთამომავლობისთვის უნდა შევინახოთ და ამიტომ დავიცვათ კიდეც.

ბერძნული ლეგენდების თანახმად ოლიმპოზე ანტიკური ელადის ღმერთები ცხოვრობდნენ. კაცობრიობამ ყველაფერი უნდა იღონოს, რომ მათი ადგილსამყოფელი შეურყვნელი დარჩეს.

## ცელქცაიკა - ვკიოსხელი

**ნიუ-იორკი.** სეულის ოლიმპიური თამაშების მოკრივეთა ტურნირის ხუთმა პრიზიორმა თავი დაანება სამოყვარულო სპორტს და პროფესიონალებში გადავიდა. ისინი ახალ ამპლუაშიც საკმაოდ მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ.

67 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებულმა კენიელმა რობერტ ვანგილამ საკმაოდ მძიმე ორთაბრძოლაში სძლია ბაკ სმიტს (აშშ.)

სეულის ოლიმპიადის მეორე ჩემპიონმა ამერიკელმა ენდრიუ მეინარდმა (81 კგ) პროფესიულ რინგზე უკვე მეხუთე გამარჯვება მოიპოვა. ასევე რამდენიმე შეხვედრა აქვთ მოგებული ოლიმპიურ ჩემპიონებს, ამერიკელებს რეი მერსერს (91 კგ), კენედი მაკინის (54 კგ) და ოლიმპიადის ვერცხლის მედალისტს მაიკლ კარბახალს (48 კგ).

## კალეიდოსკოპი

### ორმაგი გარიგება

ევროპის სამგზის ჩემპიონი მაგიდის ჩოგბურთში, 28 წლის უნგრელი ედიტ ურბანი ამიერიდან ავსტრიის ეროვნული ნაკრების ღირსებას დაიცავს. ამ გარიგებას ხელი მოაწერეს ავსტრიის კლუბის „იუდენბურგის" თავმჯდომარემ ალფრედ მაიერმა და უნგრეთის კლუბ ბშე-ს დირექტორ-ადმინისტრატორმა ფერენც კუსველმა. ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ ურბანს უფლება ექნება თავისი ქვეყანა წარმოადგინოს მხოლოდ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებში.

უნგრელი მაგიდის ჩოგბურთელი ავსტრიის კლუბში ილონა ბელოგის ადგილს დაიკავებს, რომელიც ბუნდესლიგაში მოთამაშე დასავლეთ ბერლინის გუნდში გადადის.

### დაისაჯა დოპინგის მიღებისათვის

ცნობილი იტალიელი მოფარიკავე ქალი დორინა ვაკარონი, რომელმაც 1983 წელს მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა და რომელიც 1984 წელს ოლიმპიური თამაშების პრიზიორი გახდა, ექვსი თვით არის დისკვალიფიცირებული დოპინგის მიღებისათვის.

ეს გადაწყვეტილება ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციამ მიიღო მას შემდეგ, რაც თებერვალში დოპინგის საწინააღმდეგო კონტროლის კომისიამ მას სისხლში აკრძალული ნივთიერების კვალი აღმოუჩინა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იტალიელი მოფარიკავე ვერ გამოვა მსოფლიოს მორიგ ჩემპიონატში (1989 წლის ივლისი, დენვერი).

### კარგი ორგანიზაცია

1988 წლის ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელიც გფრ-ის ქალაქებში ჩატარდა რამდენიმე მიზეზით სამაგალითო ტურნირად არის მიჩნეული. ჯერ ერთი სპეციალისტებმა ერთხმად აღნიშნეს თამაშის საერთო დონის მკვეთრი ამაღლება წინა ჩემპიონატებთან შედარებით. შემდეგ, ევროპის პირველობამ ორგანიზატორებს გარკვეული ფინანსიური წარმატება მოუტანა, და ბოლოს, ამ ტურნირზე სამაგალითოდ იყო ორგანიზებული ინფორმაციის სამსახური, რასაც ერთხმად აღნიშნავდნენ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩემპიონატზე აკრედიტებული იყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა 4 ათასამდე წარმომადგენელი.

## კალათბურთის ამბები

**ბუენოს-აირესი.** კალათბურთელთა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა უარყვეს ჭორი, თითქოს აქ ქვეყანაში ტურნირის ჩატარების საკითხი ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არისო.

არგენტინა ამჟამად ეკონომიკურ კრიზისს განიცდის. დგება ახალი მთავრობა, რომელსაც უამრავი პრობლემა ექნება გადასაწყვეტი. ეს ყველაფერი მართლაც ასეა და ალბათ ამიტომ წარმოიშვა ეჭვი არგენტინაში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების რეალურობაზე, — განაცხადა საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა, მაგრამ ეკონომიკურ კრიზისს, მისი აზრით, არაფერი აქვს საერთო მსოფლიო ჩემპიონატთან, ამიტომ ყველაფერი ძველებურად ძალაში რჩება.

**პირეი.** ევროპის ჩემპიონი, საბერძნეთის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები კონტინენტის ჩემპიონატის წინ (ზაგრები, 20-25 ივნისი) კარგ სპორტულ ფორმაშია და აზრიან თამაშს აჩვენებს. ამ დღეებში ბერძნებმა აკროპოლისის თასის გათამაშებაში დაამარცხეს ჰოლანდიის გუნდი (82:59) და აშშ-ს კოლეჯების ნაკრები (88:81).

როგორც ყოველთვის სნაიპერული სროლებით გამოიჩინა თავი საბერძნეთის ნაკრების ლიდერმა გალისმა, ამერიკელებთან შეხვედრაში თავის კოლექტივს მან 38 ქულა შესძინა.

ორი შეხვედრა მოიგეს იტალიელებმაც. ჰოლანდიელი კალათბურთელები დაამარცხეს ანგარიშით 86:75, ამერიკელები — 106:83.

## „სპორტპროგნოზი"

**26-ე ტირაჟის პროგრამა (24-25 ივნისი)**

**სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა). 24 ივნისი.**

1. „მეტალისტი" (ხარკოვი) — „როტორი" (ვოლგოგრადი)
2. „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „ზენიტი" (ლენინგრადი)

**სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა). 24 ივნისი.**

3. „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „ყუბანი" (კრასნოდარი)
4. „კაირატი" (ალმა-ათა) — „დინამო" (ბათუმი)
5. „გეოლოგი" (ტიუმენი) — „ნეფთჩი" (ბაქო)
6. „შინიკი" (იაროსლავლი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე)
7. „გურია" (ლანჩხუთი) — ასკ (როსტოვი)
8. „დინამო" (სტავროპოლი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე)
9. „ფაკელი" (ვორონეჟი) — „კოტაიკი" (აბოვიანი)
10. „როსტსელმაში" (როსტოვი) — „ტორპედო" (ქუთაისი)
11. „კუზბასი" (კემეროვო) — „ნისტრუ" (კიშინიოვი)
12. ასკ „კარპატი" (ლვოვი) — „დაუგავა" (რიგა)

**სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში. ფინალი. 25 ივნისი.**

13. „ტორპედო" (მოსკოვი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)

**შენიშვნა:** სათადარიგო მატჩში მხედველობაში მიიღება ძირითადი დროის შედეგი.

**რედაქტორი**
**თ. ბაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-56,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-37.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 XXII უე 10885